



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010160103950918

29 / აგვისტო / 2018 წ.  
# 844/ს

**სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (წიფელას ჯიშის I; II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 19.190 - მ<sup>3</sup> ) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N260) (2) განმეორებით გამოცხადების შესახებ**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 14 აგვისტოს N13/28267 სამსახურებრივი ბარათისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 23 აგვისტოს 16680/07 მოხსენებიტი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N260 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ მარტვილის სატყეო უბნის, სალხინოს სატყეოს N11 კვარტალში ,(ლიტერი 11) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 19.190 მ<sup>3</sup> ფოთლოვანი სახეობის ( წიფელას ჯიშის I; II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს”, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს”, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

